V-Dem-ის შედეგები: 2023 წელს საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაუარესდა

აპრილი, 2024

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შინაარსი

შესავალი 3
V-Dem რეიტინგის შესახებ 3
დემოკრატიის საშუალო დონის ინდექსები 5
პოლიტიკური პარტიები 6
სასამართლო ხელისუფლება 7
სამოქალაქო თავისუფლებები 8
სამოქალაქო საზოგადოება 9
პოლიტიკური თანასწორობა 12
ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების შედეგები 13
დასკვნა 14

შესავალი

2024 წლის V-Dem Institute-ის დემოკრატიის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სხვადასხვა კატეგორიაში ქულების კლება აღინიშნება. დემოკრატიის საშუალო ხარისხის გაუარესების მიზეზად ანგარიში პირველ რიგში საარჩევნო პროცესებზე მიუთითებს. კვლევის ფარგლებში საქართველოს შეფასება 2017 წლის მერე უარესდება, თუმცა საქართველო ჯერ კიდევ არჩევითი დემოკრატიის კატეგორიაში განიხილება.

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, V-Dem-ის შემადგენელ ხუთივე მაღალი დონის ინდექსში საქართველოს მაჩვენებლები შემცირდა. V-Dem-ის მაღალი დონის ინდექსებია:

- არჩევითი დემოკრატიის ინდექსი;
- სათათბირო დემოკრატიის ინდექსი;
- მონაწილეობითი დემოკრატიის ინდექსი;
- ეგალიტარული დემოკრატიის ინდექსი;
- ლიბერალური დემოკრატიის ინდექსი.

V-Dem-ის ანგარიში ასახავს საქართველოში ბოლო პერიოდში მომხდარ მოვლენებს, მათ შორის 2023 წლის მარტის მოვლენებს, როდესაც მთავრობა ცდილობდა ე.წ. აგენტების კანონის მიღებას.

V-Dem-ის შეფასებით გლობალური მასშტაბით, 2023 წლის მდგომარეობით, აღინიშნება ზოგადი დემოკრატიის კლების ტენდენცია. მსოფლიო მოსახლეობის 71% ავტოკრატიული რეჟიმების გარემოში ცხოვრობს. ამის გათვალისწინებით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების ფონზე, მნიშვნელოვანია საქართველოში არ მოხდეს დემოკრატიის უკუსვლა. V-Dem-ის მონაცემები იძლევა დემოკრატიის ხარისხის კონკრეტულ ინდიკატორებზე დაყრდნობით შეფასების საშუალებას, და ამ ინდიკატორების უგულებელყოფა, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში არსებულ დემოკრატიის ხარისხზე ისახება.

V-Dem რეიტინგის შესახებ

გიოტებორგის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების დეპარტამენტის ბაზაზე დაფუძნებული V-Dem Institute ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს, რომლითაც შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის შეფასება. შეგროვებული მონაცემების სანდოობა და ხარისხი საერთაშორისო დონეზეა აღიარებული. მაგალითად, ღია მმართველობის პარტნიორობა (Open Government Partnership - OGP) V-Dem-ის ბაზიდან ორ ინდიკატორს იყენებს ინიციატივის წევრობის კანდიდატ ქვეყნების შეფასებისთვის — CSO-ების შექმნის და გაუქმების ინდიკატორი, რომელიც აფასებს თუ რამდენად აკონტროლებს მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნისა და გაუქმების პროცესს, და სახელმწიფოს მხრიდან CSO-ებზე ზეწოლის ინდიკატორი.

V-Dem-ის მეთოდოლოგია ეყრდნობა როგორც ოფიციალურ დოკუმენტებს (როგორიცაა კონსტიტუცია, კანონები და მთავრობის სამართლებრივი აქტები), ასევე ექსპერტების მხრიდან

მოვლენების შედარებით სუბიექტურ აღქმას და შეფასებას (მაგ: ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, არჩევნები და სხვა). V-Dem განასხვავებს დემოკრატიის სხვადასხვა დონის ინდექსებს და მათ დასადგენად განსაზღვრავს შესაბამის ინდიკატორებს. დემოკრატიის 21 საშუალო დონის ინდექსები ერთმანეთისგან მიმართულებებით განსხვავდებიან (მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების და ალტერნატიულ ინფორმაციის არსებობის, კანონის წინაშე თანასწორობის და ინდივიდუალური თავისუფლების, ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის, თავისუფალი არჩევნების და ა.შ.), ხოლო ხუთი მაღალი დონის, უფრო ზოგადი მაკრო-ინდექსი (არჩევითი დემოკრატიის, ლიბერალური დემოკრატიის, მონაწილეობითი დემოკრატიის, სათათბირო დემოკრატიისა და ეგალიტარული დემოკრატიის ინდექსები), საშუალებას გვაძლევს მარტივად აღვიქვათ წლების მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დემოკრატიულობა. V-Dem-ის მეთოდოლოგია ინდექსების საზომად 400 ინდიკატორზე მეტს ადგენს.

მაკრო ინდექსებს, ისევე როგორც დემოკრატიის საშუალო დონის ინდექსებს, ენიჭება 0-დან 1-მდე ქულა. შესაბამისად, ქულაში მცირე კლებაც კი მნიშვნელოვან ცვლილებებზე მიუთითებს ზოგადი დემოკრატიის ამ ინდიკატორის ხარისხის კუთხით.

სტატიაში ანალიზისთვის გამოყენებულია ფარდობითი სკალის (relative scale) მონაცემები. აღნიშნული მონაცემები მიღებულია გაზომვის მეთოდით, სადაც გათვალისწინებულია მონაცემების გაზომვაში ჩართული ექსპერტების შეხედულებებს შორის სხვაობა და სხვა გარემოებები, რაც რეალური სურათის შექმნას უწყობს ხელს. ინდექსებისა და ინდიკატორების მაჩვენებელი მათემატიკური ფორმულის საფუძველზე დგება და შესაბამისი ქულა და ადგილი ენიჭება რეიტინგში.

<u>გრაფიკი 1: საქართველოს დემოკრატიის მაღალი დონის ინდექსები 2021-2023 წლები</u>



საინტერესოა, რომ არჩევითი დემოკრატიის, ლიბერალური დემოკრატიის, მონაწილეობითი დემოკრატიის, სათათბირო დემოკრატიისა და ეგალიტარული დემოკრატიის ინდექსების დინამიკაში დაკვირვებისას, 2004 და 2013-2014 წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად იზრდება ზემოთ აღნიშნული ინდექსების მაჩვენებლები, რაც შესაძლოა კავშირში იყოს საქართველოში პოლიტიკური სპექტრის, კერძოდ, ხელისუფლების ცვლილებასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლიდან დღემდე საქართველოში მაღალი დონის ინდექსების უმრავლესობამ გაუარესება დაიწყო. საყურადღებოა, რომ 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, იყო მატება ლიბერალური დემოკრატიისა და სათათბირო დემოკრატიის ინდექსებში, მაგრამ 2023 წელს ორივემ დაიკლო და ქულებმა 2021 წლის შედეგებზე დაბლა დაიწიეს. 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, V-Dem-ის შემადგენელ ხუთ მთავარ ინდექსს შორის ერთადერთი, სადაც გაუარესება შედარებით უმნიშვნელოა, არის ლიბერალური დემოკრატიის ინდექსი.

დემოკრატიის საშუალო დონის ინდექსები

საშუალო დონის ინდექსები წარმოადგენენ მაღალი დონის შემადგენელ ინდექსებს, რომლის მიხედვითაც ხდება აღნიშნული მაკრო ინდექსების ქულების განსაზღვრა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ინდექსებშიც ქვეყნებს ენიჭება 0-დან 1-მდე ქულა.

ქვემოთ გრაფიკში მოცემულია დემოკრატიის საშუალო დონის არსებული 21 ინდექსიდან რამდენიმე, კერძოდ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის, გამოხატვის თავისუფლების და სხვა ალტერნატიული ინფორმაციის არსებობის, კანონის წინაშე თანასწორობის და ინდივიდუალური თავისუფლების, ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინდექსები 2021, 2022 და 2023 წლების მდგომარეობით. საყურადღებოა კლება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ინდექსში, 0.771-დან 0.754-მდე, იმის ფონზე, რომ საქართველოს მთავრობას სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი მედია მათი საქმიანობის ხელყოფაში ადანაშაულებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2023 წლის მარტში განვითარებული მოვლენების ფონზე, როდესაც ხელისუფლება ცდილობდა ე.წ. „აგენტების კანონის" მიღებას.
სხვა საშუალო დონის ინდექსები, სადაც კლება ფიქსირდება, არის გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა ალტერნატიული ინფორმაციის ინდექსი, 0.869-დან 0.849-მდე. ეს კლება განსაკუთრებით სამწუხაროა იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წელს ქულამ პირიქით, იმატა, 0.869-დან 0.871-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელთან შედარებით ქულა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, საყურადღებოა საქართველოს საკმაოდ დაბალი შეფასება სამართლიანი არჩევნების ინდექსში — 0.6 ქულა. 2022 წელს ამ ინდექსში ძალიან მცირე გაუარესებაც (0.598) კი აღინიშნებოდა, თუმცა 2023 წელს იგი 2021 წლის მაჩვენებელს დაუბრუნდა. ასევე დაბალია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე სასამართლო ზედამხედველობის ინდექსის შეფასება (0.684 ქულა), მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის მაჩვენებელთან (0.657) შედარებით იგი გაუმჯობესებულია. საქართველოს უკვე წლებია დაბალი ქულა ენიჭება რეგიონული თვითმმართველობის ინდექსში (0.128). მეორეს მხრივ, შედარებით მაღალია ადგილობრივი მმართველობის ინდექსის შეფასება (0.817), თუმცა ამ ინდექსის ქულაში 2018 წლიდან ცვლილება არ ყოფილა.

<u>გრაფიკი 2: საქართველოს დემოკრატიის საშუალო დონის ინდექსები 2021-2023 წლები</u>



პოლიტიკური პარტიები

გრაფიკი 3 ასახავს საქართველოში პოლიტიკური პარტიების თავისუფლების და დამოუკიდებლობის ინდიკატორებს. კერძოდ, გრაფიკზე მოცემულია ოპოზიციური პარტიების ავტონომიის და პოლიტიკური პარტიების განშტოებების/ადგილობრივი წარმომადგენლების შესახებ მონაცემები. ასევე წარმოდგენილია პარტიებისთვის განკუთვნილი ბარიერების ინდექსები. კატეგორიის ინდიკატორები იზომება 0-დან 4-მდე მაჩვენებლით, სადაც 4 ყველაზე დადებითი შედეგია.

V-Dem მონაცემების მიხედვით, 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, საქართველოში იკლო ოპოზიციური პარტიების ავტონომიის (1.855-დან 1.756-მდე) ინდიკატორმა. თუმცა საინტერესოა, რომ ეს ინდიკატორი 2022 წელს წინა წლის ქულასთან (1.813) შედარებით გაუმჯობესებული იყო, რის შემდეგაც 2023 წელს მან კლება განიცადა და როგორც ზემოთ აღინიშნა, 2021 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება. კლება ასევე აღინიშნება პოლიტიკური პარტიების განშტოებების/ადგილობრივი წარმომადგენლების (0.629-დან 0.674-მდე) ინდიკატორში.

ბოლო წლებია არ აღინიშნება ცვლილება პარტიების წინაშე არსებული ბარიერების (1.217) მიმართულებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ეს ქულა 2.223 იყო.

<u>გრაფიკი 3: დემოკრატიის ინდექსების ინდიკატორები პოლიტიკური პარტიების სფეროში 2021-2023</u>



სასამართლო ხელისუფლება

გრაფიკი 4 ასახავს დემოკრატიის ინდექსების ინდიკატორებს მართლმსაჯულების სფეროში. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს მდგომარეობით, მნიშვნელოვანი გაუარესება შეინიშნება სასამართლო ანგარიშვალდებულების კომპონენტში, 1.834-დან 1.102-მდე. რაც შეეხება ზედა ინსტანციის სასამართლოებისა (2.246) და ქვედა ინსტანციის სასამართლოების (1.378) დამოუკიდებლობის მაჩვენებელს, წინა წლებთან შედარებით ორივე ინდიკატორი უცვლელად რჩება. მაღალია შედეგი სასამართლო სისტემიდან მოსამართლეთა არაკეთილსინდისიერი გაძევების ინდიკატორში, თუმცა 2022 წელთან შედარებით, მაინც კლება ფიქსირდება - 3.88-დან 3.74-მდე.

V-Dem-ის ანგარიშის გამოქვეყნებას გამოხმაურება მოჰყვა საქართველოს მმართველი პარტიის სხვადასხვა წარმომადგენლის მხრიდან, რომლებიც მიუთითებდნენ საქართველოს მაღალ ქულებზე V-Dem-ის რამდენიმე კონკრეტულ ინდიკატორში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმ ფაქტს, რომ მეთოდოლოგია შედგება 400-ზე მეტი ინდიკატორისგან, ხოლო მართლმსაჯულების სისტემის სფერო 16 ინდიკატორით ფასდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს შეფასება "სასამართლო ანგარიშვალდებულების" ინდიკატორში, სადაც 4 ქულიდან საქართველო 2022-2023 წლებში

1.102 ქულით შეფასდა. აღნიშნული ინდიკატორი აფასებს იმას, თუ რამდენად ხშირად იხსნებიან თანამდებობიდან ან დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოსამართლეებს, რომლებიც სერიოზულ არასათანადო საქციელში ამხილეს. ინდიკატორში 1 ქულის შეფასება ნიშნავს, რომ ეს "იშვიათად" ხდება. რაც შეეხება სასამართლო სისტემიდან მოსამართლეთა არაკეთილსინდისიერი გაძევების ინდიკატორს, რომელსაც მოჰყვა გამოხმაურება, საქართველოს მართლაც მაღალი შეფასება აქვს ამ მხრივ, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2021-2022 წლებთან შედარებით ბოლო წელს ამ ინდიკატორში ქულა შემცირდა.

<u>გრაფიკი 4: დემოკრატიის ინდექსების ინდიკატორები მართლმსაჯულების სფეროში 2021-2023</u>



სამოქალაქო თავისუფლებები

გრაფიკი 5 ასახავს სამოქალაქო თავისუფლებების მიმართულებით 2021-2023 წლებში საქართველოში არსებულ ვითარებას. კერძოდ, გრაფიკში წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას სქესის მიხედვით, აკადემიური და კულტურული გამოხატვის თავისუფლებას, სოციალური კლასების თანასწორობას სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას სქესის მიხედვით. ყველა ზემოაღნიშნული ინდიკატორი იზომება 0-დან 4-მდე მაჩვენებლით, სადაც 0 არის ნეგატიური შედეგის, ხოლო 4 დადებითი შედეგის ამსახველი.

V-Dem მონაცემების მიხედვით, ბოლო ორ წელთან შედარებით, 2023 წელს საგრძნობლად იკლო აკადემიური და კულტურული გამოხატვის თავისუფლების ინდიკატორმა (3.163-დან 2.782-მდე); 2023 წლის შეფასება 2012 წლის შემდეგ ყველაზე დაბალია. ეს მიუხედავად იმისა, რომ 2021-2022 წლებში ქულა გაუმჯობესებული იყო 2020 წლის დაბალ ქულასთან შედარებით. გაუმჯობესდა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა კაცებისთვის (2.78-დან 2.936-მდე) და ქალებისთვის (2.811-დან 2.957-მდე). ორივე შემთხვევაში ქულამ 2022 წელს იმატა და ეს შედეგი 2023 წელსაც არის შენარჩუნებული. ბოლო წლების განმავლობაში უცვლელი რჩება სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების მიმართულებით სოციალური კლასების თანასწორობის ინდიკატორი (3.065).

<u>გრაფიკი 5: დემოკრატიის ინდექსების ინდიკატორები სამოქალაქო თავისუფლების სფეროში 2021-2023</u>



სამოქალაქო საზოგადოება

V-Dem მონაცემები აგრეთვე ფარავს ინდიკატორებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების მიმართ დემოკრატიულ პროცესებს აფასებს. მე-6 დიაგრამაზე ნაჩვენებია ინდიკატორები, რომლებიც აფასებს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა/გამოთიშვა სამოქალაქო საქმიანობიდან და მათზე სახელმწიფოს კონტროლს, ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების შევიწროებას (რეპრესიები), სამოქალაქო

საზოგადოების ორგანიზაციებში ქალების ჩართულობას და ზოგადად პოლიტიკურ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობას. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის გარდა, ყველა სხვა ინდიკატორი ფასდება 1-დან 4-მდე სკალით. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობითი გარემო კი 1-დან 3-მდე სიდიდით.

აღსანიშნავია, რომ V-Dem-ის მონაცემები შეიცავს ინდექსებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ზემოთ აღნიშნული მაღალი და საშუალო დონის ინდექსების შემადგენელ ნაწილებს. მათგან ერთ-ერთია სამოქალაქო საზოგადოების მთავარი ინდექსი (Core Civil Society Index). ამ ინდექსში საქართველომ 2023 წელს ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო (0.808 ქულა, როდესაც 2012 წელს შეფასება 0.848 ქულას, ხოლო 2022 წელს 0.919 ქულას შეადგენდა). ინდიკატორი ზომავს სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო სექტორის საქმიანობაში ჩაურევლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობის ხარისხს. კერძოდ, ინდექსის შედეგების გამოთვლა ხდება სამ ინდიკატორზე დაყრდნობით: 1) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საჯარო ცხოვრებაში ჩართულობასა და გამოთიშვაზე კონტროლი; 2) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლა; 3) CSO-ებისთვის მონაწილეობითი გარემო. აღნიშნულიდან პირველ ორმა ინდიკატორმა 2022 წელთან შედარებით საგრძნობლად იკლო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამოქალაქო ინდექსში შედეგების კლება სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო სექტორზე გაზრდილმა ზეწოლამ განპირობა.

<u>გრაფიკი 6: საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მთავარი ინდექსის დინამიკა 2012-2023</u>



V-Dem მონაცემები ცხადყოფს, რომ 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, საქართველოში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საჯარო ცხოვრებაში ჩართულობასა და გამოთიშვაზე კონტროლის მიმართულებით (3.658-დან

2.992-მდე), რომელიც აფასებს თუ რამდენად თავისუფლად შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აქტიურად იყვნენ ჩართულები პოლიტიკურ ცხოვრებაში და რამდენად ცდილობს ხელისუფლება გავლენა მოახდინოს მათ საქმიანობაზე შეზღუდვების, აკრძალვებისა თუ ხელისუფლებისთვის ლოიალური ორგანიზაციების მხარდაჭერით/დაფინანსებით. კლების ტენდენცია ამ მიმართულებით 2021 წლის შემდეგ დაიწყო, როდესაც ქულა 3.741-ს შეადგენდა.

2022 წელთან შედარებით ნაკლებად, თუმცა ასევე იკლო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის ინდიკატორმა (3.692-დან 3.337-მდე). 2020 წლის მაღალ ქულასთან (3.878) შედარებით ეს კლება ძლიერ უარყოფით პროცესებზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ CSO-ბზე ზეწოლის ინდიკატორი კლებულობდა 2007 წლიდან 2012 წლამდე, შემდეგ იზრდებოდა 2013-2014 წლებში და მას შემდეგ, 2017 წლის ჩათვლით მდგრადი კლებით ხასიათდებოდა. 2022 წელს ამ ინდიკატორმა მცირედით მოიმატა წინა წელთან (3.61) შედარებით, მაგრამ ეს ტენდენცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ შენარჩუნდა.

2022 წელთან შედარებით ოდნავ გაიზარდა CSO-ების მონაწილეობითი გარემოს ინდიკატორის ქულა (2.35-დან 2.438-მდე), რომელიც აფასებს სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვნებასა და მათ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის დონეს. ეს ინდიკატორი 0-დან 3-მდე ქულით ფასდება, სადაც მაქსიმალური ქულა მიუთითებს, რომ ქვეყანაში მრავალფეროვანი სამოქალაქო სექტორია და საზოგადოების წარმომადგენლობისთვის ნორმად ითვლება მათ საქმიანობაში ჩართულობა.

<u>გრაფიკი 7: დემოკრატიის ინდექსების ინდიკატორები სამოქალაქო საზოგადოების სფეროში 2021-2023 წლები</u>



პოლიტიკური თანასწორობა

პოლიტიკური თანასწორობის თემის ქვეშ წარმოდგენილია V-Dem ინდიკატორები, კერძოდ, ძალაუფლების გადანაწილება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური ჯგუფების და სქესის მიხედვით. გრაფიკზე ასევე ასახულია ჯანდაცვაზე და განათლებაზე წვდომის თანასწორობის მონაცემები. ინდიკატორის შესაფასებლად გამოყენებულია 0-დან 4-მდე საზომი, სადაც 0 ენიჭებათ ქვეყნებს ყველაზე ნეგატიურ, ხოლო 4 – ყველაზე პოზიტიურ შემთხვევებში.

2023 წელს წინა წლებთან შედარებით საქართველოში საინტერესო ტენდენცია ფიქსირდება სამი ინდიკატორის კუთხით. კერძოდ, ფიქსირდება კლება ძალაუფლების გენდერის მიხედვით განაწილების ინდიკატორში (2022 წელს ქულამ 2.44-დან 2.348-მდე იკლო, 2023 წელს კი 2.311-მდე). 2022 წელს მცირედ შემცირდა განათლებაზე წვდომის თანასწორობის ინდიკატორი (3.162-დან 3.039-მდე), რაც უცვლელი დარჩა 2023 წლის შეფასებაში. რაც შეეხება ჯანდაცვაზე წვდომის თანასწორობას (3.204) და ძალაუფლების სოციალური ჯგუფების მიხედვით დისტრიბუციას (2.286), ქულები 2021 წლიდან უცვლელია. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათ წელიწადში, ჯანდაცვაზე წვდომის თანასწორობის ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოში 2012 წელს დაფიქსირდა.

<u>გრაფიკი 8: დემოკრატიის ინდექსების ინდიკატორები პოლიტიკური თანასწორობის სფეროში 2021-2023 წლები</u>



ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების შედეგები

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების ფონზე საინტერესოა საქართველოს V-Dem-ის შედეგების განხილვა კანდიდატის სტატუტის მქონე სხვა ქვეყნების შედეგებთან შედარებით. ამ მიზნით მიმოხილულია ალბანეთის, ბოსნია და ჰერცოგოვინას, მოლდოვის, მონტენეგროს, ჩრდილოეთ მაკედონიის, სერბეთისა და უკრაინის შედეგები V-Dem-ის მაღალი დონის ინდექსებში.

V-Dem-ის მაღალი დონის ხუთივე ინდექსში კანდიდატ ქვეყნებს შორის ლიდერია მოლდოვა. აქედან ყველაზე მაღალი ადგილი მას მონაწილეობითი დემოკრატიის ინდექსში უკავია (18-ე პოზიცია), ხოლო ყველაზე დაბალი - სათათბირო დემოკრატიის ინდექსში (57-ე პოზიცია). საქართველო მეორე ადგილზეა ყველა ინდექსში, გარდა მონაწილეობითი დემოკრატიის ინდექსისა, სადაც საქართველო მესამე ადგილზეა (67-ე პოზიცია გლობალურ რეიტინგში) მაკედონიის შემდეგ (65-ე პოზიცია).

<u>გრაფიკი 9: ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების ადგილი 2023 წლის მაღალი დონის ინდექსების რეიტინგში და მიღებული ქულები</u>

	არჩევითი დემოკრატიის ინდექსი	ლიბერალური დემოკრატიის ინდექსი	მონაწილეობითი დემოკრატიის ინდექსი	სათათბირო დემოკრატიის ინდექსი	ეგალიტარული დემოკრატიის ინდექსი
მოლდოვა	48 (0.713 ქულა)	37 (0.662 ქულა)	18 (0.608 ქულა)	57 (0.504 ქულა)	36 (0.645 ქულა)
საქართველო	69 (0.604 ქულა)	65 (0.473 ქულა)	67 (0.367 ქულა)	58 (0.492 ქულა)	54 (0.482 ქულა)
მონტენეგრო	73 (0.581 ქულა)	67 (0.467 ქულა)	70 (0.363 ქულა)	69 (0.454 ქულა)	59 (0.459 ქულა)
ჩრდილოეთ მაკედონია	78 (0.56 ქულა)	89 (0.359 ქულა)	65 (0.371 ქულა)	81 (0.386 ქულა)	82 (0.366 ქულა)
ბოსნია და ჰერცოგოვინა	86 (0.512 ქულა)	92 (0.346 ქულა)	90 (0.307 ქულა)	85 (0.372 ქულა)	84 (0.362 ქულა)
ალბანეთი	88 (0.51 ქულა)	82 (0.402 ქულა)	85 (0.316 ქულა)	103 (0.278 ქულა)	76 (0.383 ქულა)
სერბეთი	111 (0.364 ქულა)	106 (0.253 ქულა)	106 (0.244 ქულა)	121 (0.22 ქულა)	93 (0.312 ქულა)
უკრაინა	104 (0.415 ქულა)	109 (0.249 ქულა)	99 (0.278 ქულა)	93 (0.345 ქულა)	95 (0.307 ქულა)

აღსანიშნავია, რომ მოლდოვას ადგილი რეიტინგში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით. მაგალითად, ლიბერალური დემოკრატიის ინდექსის რეიტინგში 2022 წელს ის 43-ე ადგილს იკავებდა, ხოლო 2023 წელს - 37-ე ადგილს. საქართველომ იმავე ინდექსში 61-ე ადგილიდან 65-ე ადგილზე გადაინაცვლა.

<u>გრაფიკი 10: საქართველოს და მოლდოვას შედეგები ლიბერალური დემოკრატიის ინდექსში 2012-2023 წლებში</u>



დასკვნა

2021-2023 წლებში V-Dem მონაცემების მიხედვით საქართველოში დემოკრატიის ხარისხი კვლავ გაუარესდა. განსაკუთრებით ეს აღინიშნება არჩევითი დემოკრატიის, სათათბირო დემოკრატიის, მონაწილეობითი დემოკრატიის, და ეგალიტარული დემოკრატიის მაკრო ინდექსებში. შედარებით უმნიშვნელო კლება არის ლიბერალური დემოკრატიის ინდექსშიც. ამგვარად, საქართველომ უკუსვლა განიცადა V-Dem-ის შემადგენელ ყველა მაღალი დონის ინდექსში.

მონაცემების ცვლილება მიუთითებს, რომ გასაუმჯობესებელია სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა. იმის გათვალისწინებით, რომ V-Dem-ის ანგარიში პირდაპირ მიუთითებს 2023 წლის მარტში ე.წ. აგენტების კანონთან დაკავშირებულ მოვლენებს, როდესაც საუბრობს საქართველოში დემოკრატიის ხარისხის კლებაზე, 2024 წელს ამ კანონის დღის წესრიგში დაბრუნება კიდევ უფრო ნეგატიურად აისახება დემოკრატიის ხარისხზე.